

## პრესრელიზი

გაზგასამართი სადგურების ქსელი, „ნეოგაზი“ ახალ სადგურს ხსნის

2014 წლის 9 მაისს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულმა კორპორაციამ“ (სსეკ) „ნეოგაზი“-ს ბრენდის ქვეშ მორიგი ახალი გაზგასამართი სადგური გახსნა.

„ნეოგაზის“ ახალი გაზგასამართი სადგური აღჭურვილია თანამდეროვე ტექნოლოგიებით: ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერის, არგენტინული კომპანია ASPRO-ის კომპრესორით და იტალიური წარმოების FORNOVO- ს გაზგასამართი სვეტებით.

ნეოგაზის ქუთაისის გაზგასამართ სადგურზე მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში შესაბამისად მომზადებული კადრები მოემსახურებიან, რომელებიც ავტომობილის გამართვის სწრაფ, ხარისხიან და უსაფრთხო პროცესს უზრუნველყოფენ. 1 მ 3 შეკუმშული ბუნებრივი აირის ფასი 1 ლარი იქნება

სადგური ქალაქ ქუთაისის შესასვლელში, გუგუნავას ქუჩა #1 -ში მდებარეობს.

13.05.2014

„საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

